CENTER FOR DEVELOPMANT AND DEMOCRACY
ბანვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

INTERNATIONAL SCOUT CENTRE RUSTAVI

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის

გზამკვლევი

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში

მოქალაქეთა ჩართულობის გზამკვლევი

მომზადებულია ააიპ „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის" (CDD) და ააიპ „რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრის" (ISCR) ერთობლივი პროექტის „ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის პრაქტიკაში ახალგაზრდების წარმომადგენლობის გაძლიერება, მათი კომპეტენციებისა და ჩართულობის მექანიზმების განვითარების გზით" ფარგლებში.

გზამკვლევი გამოცემულია გაეროს განვითრების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

© განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2021
© რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრი (ISCR), 2021

პროექტის შესახებ

პროექტი „ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის პრაქტიკაში ახალგაზრდების წარმომადგენლობის გაძლიერება, მათი კომპეტენციებისა და ჩართულობის მექანიზმების განვითარების გზით" ხორციელდება ააიპ „რუსთავის საერთაშორისო სკაუტური ცენტრისა" (ISCR) და ააიპ „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის" (CDD) მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების, ახალგაზრდა ქალების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ ქვემო ქართლის რეგიონის 3 (სამ) შერჩეულ მუნიციპალიტეტში – რუსთავში, ბოლნისსა და დმანისში.

CENTER FOR DEVELOPMANT AND DEMOCRACY
ბანმოძრაობისა და დემოკრატიის ცენტრი

ა. შანიძის ქ. N8, 0179, თბილისი
www.CDD.ge
info@CDD.ge

INTERNATIONAL SCOUT CENTRE RUSTAVI

მ. ბალანჩივაძის ქ. N9, 3700, რუსთავი
www.iscr.ge
info@iscr.ge

სარჩევი

3 შესავალი

4 აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება

6 სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ფუნქციები

7 რა არის მოქალაქეთა ჩართულობა?

8 რატომ უნდა შევუწყოთ ხელი მოქალაქეთა ჩართულობას?

9 არსებული საკანონმდებლო რეალობა – მოქალაქეთა ჩართულობის ძირითადი და დამატებითი მექანიზმები

11 ადვოკატირება, როგორც აქტიური მოქალაქის იარაღი

17 დასკვნა

18 გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა დემოკრატიის ქვაკუთხედია და ძალიან ეფექტიანია ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული პროცესებისა და საკითხების გადაწყვეტის არსებითი გაუმჯობესებისათვის.

დემოკრატიულ საზოგადოებაში, ადგილობრივი თვით-მმართველობის ეფექტიანობა საგრძნობლად უმჯობესდება, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბევრი ადამიანია ჩართული და მათი აზრიც გათვალისწინებულია. ეს პროცესი ზრდის ხელისუფლების საქმიანობაზე სამოქალაქო კონტროლის ხარისხს, ამავდროულად, იზრდება ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გადადგმული ნაბიჯების ლეგიტიმურობა.

წარმოედგენილ ნაშრომში ვისაუბრებთ აქტიური მოქალაქეობისა და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობაზე, მათ ფუნქციებზე, მოქალაქეთა ჩართულობის ასპექტებზე, არსებულ საკანონმდებლო რეალობაზე - მოქალაქეთა ჩართულობის ძირითად და დამატებით მექანიზმებზე. ყურადღება გამახვილდება ადვოკატირებაზე, როგორც აქტიური მოქალაქის მნიშვნელოვან ინსტრუმენტზე, განვიხილავთ ადვოკატირების პროცესის დაგეგმვის მთავარ ნაბიჯებს.

აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო საზოგადოება

აქტიური მოქალაქეობა ფართო და რთულად განსასაზღვრი კონცეფციაა, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისა და მისი წევრების კეთილდღეობისათვის.

აქტიურ მოქალაქეობას საფუძვლად უდევს ფუნდამენტური ფასეულობები, რაც მოიცავს კანონის უზენაესობის, დემოკრატიის, სამართლიანობის, ტოლერანტობის პატივისცემას და სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

შეიძლება ითქვას, რომ აქტიური მოქალაქეობა არის უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსი. თუკი უფლებები შესაძლოა განსაზღვრული იყოს ქარტიებითა და კანონებით, პასუხისმგებლობის ჩამოთვლა უფრო რთულია.

ფართო და მრავალფეროვანი შეიძლება იყოს იმ საქმიანობის ჩამონათვალი, რომელიც აქტიური მოქალაქეობის მახასიათებლად ითვლება, მთლიანობაში კი ერთად ქმნიან ჯანსაღ, მონაწილეობით დემოკრატიას. ეს შეიძლება იყოს ხმის მიცემა და არჩევნებში მონაწილეობა, მოხალისეობა, ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, გარემოს დაცვა და ა.შ.

აქტიური მოქალაქეობა შეიძლება განვიხილოთ პროფესიულ, პოლიტიკურ ან პირად კონტექსტში, აგრეთვე, საერთაშორისო მასშტაბის, ან უბრალოდ სამეზობლო დონეზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქტიური მოქალაქეობა გამოიხატება სხვადასხვა მექანიზმების და ფორმების საშუალებით და სხვადასხვა დონეზე.

ერთი რამ ცხადია, რომ აქტიურ მოქალაქეობას საზოგადოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა დონეზე – პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ინდივიდუალური სარგებლის მოსატანად.

აქტიური მოქალაქეობა შეგვიძლია წებოს შევადაროთ, რომელიც საზოგადოებას კრავს, აერთიანებს, რადგან თუკი ყველა ადამიანი მხოლოდ სამუშაოდ წასვლაზე, ფულის შოვნასა და საკუთარი ინდივიდუალური ინტერესების განვითარებაზე იქნებოდა ორიენტირებული, საზოგადოება დაიშლებოდა. აქტიური მოქალაქეობა განასახიერებს რწმენას, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია შეიტანოს ცვლილება საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობს – გულისხმობს ეს ადგილობრივ, ეროვნულ თუ გლობალურ საზოგადოებას.

აქტიური მოქალაქეები ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას. ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, საინიციატივო ჯგუფები, საუნივერსიტეტო გაერთიანებები, სამოქალაქო აქტივისტები და სხვა.

ყველაზე გავრცელებული განმარტების თანახმად, სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ე.წ. „მესამე სექტორს“ და გულისხმობს მოქალაქეების მიერ დაარსებული ავტონომიური ასოციაციებისა და ჯგუფების ფართო არეალს, რომელიც დამოუკიდებელია სახელისუფლებო სტრუქტურებისგან, მიზნად ისახავს მოქალაქეთა ინტერესების დაცვას და მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესს, ოჯახებს და ა. შ. სამოქალაქო საზოგადოების წევრი სუბიექტები

მაღალი სოციალურ–პოლიტიკური აქტივობით

გამოირჩევიან.

სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ფუნქციები

ხელისუფლების ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართული აქტიური სამოქალაქო საზოგადოების 10 ძირითად ფუნქციას გამოყოფს ცნობილი ამერიკელი მკვლევარი, ლარი დაიმონდი:

1. სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვა
2. მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში თანამონაწილეობის უზრუნველყოფა
3. დემოკრატიული ნორმებისა და ღირებულებების განვითარება
4. ინტერესების არტიკულირებისა და წარმოჩენის ალტერნატიული არხების შექმნა
5. პოლიტიკური კონფლიქტების შემსუბუქება
6. ახალი პოლიტიკური ლიდერების მოძიება და გადამზადება
7. პოლიტიკური აქტივობებისა და მთავრობის საქმიანობის მიუკერძოებელი მონიტორინგი
8. საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელება
9. სხვადასხვა საკითხებზე მომუშავე კოალიციების ჩამოყალიბება
10. მეათე ფუნქცია პირველი ცხრა ფუნქციის წარმატებით განხორციელებაზეა დამოკიდებული. პოლიტიკური სისტემის ანგარიშვალდებულებით, მასში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდით სამოქალაქო საზოგადოება ლეგიტიმაციას ანიჭებს სისტემას და ამავდროულად, მოქალაქეებში ამკვიდრებს სახელმწიფოსადმი პატივისცემას

რა არის მოქალაქეთა ჩართულობა?

მოქალაქეთა ჩართულობა დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია. ეს არის „პროცესი, როდესაც ადამიანები იღებენ კოლექტიურ ზომებს საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად".

არსებობს დემოკრატიის ორი ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ ხშირად კონკურენტული კომპონენტი. ერთი არის ინდივიდუალური თავისუფლება, ხოლო მეორე – საზოგადოებრივი სიკეთე. აღნიშნული ბალანსის ეფექტიანად განხორციელების გზაა ადამიანებმა აქტიური როლი ითამაშონ თავიანთი თემების* ჩამოყალიბებაში.

მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი არასაკმარისია, ხშირად ეს შემოიფარგლება მხოლოდ არჩევნებში ხმის მიცემით. არჩევნებში ხმის მიცემა არ არის სახელმწიფო მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთადერთი საშუალება. არსებობს მრავალი მექანიზმი, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ მოქალაქეებსა და ხელისუფლების ორგანოებს საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ესენია:



აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით, მოქალაქეებს შეუძლიათ, შეაფასონ და გადახედონ გადაწყვეტილების მიმღები პირების ქმედებებს და უზრუნველყონ მათი ანგარიშვალდებულება და მეტი გამჭვირვალობა.

* თემი – ერთ ტერიტორიაზე დასახლებული იმგვარი ადამიანების ერთობა, რომელთაც საერთო ინტერესები და იდენტიფიკაცია გააჩნიათ (Local Governments in the new Europe. R.J. Bennett. Belhaven press.1999).

რატომ უნდა შევუწყოთ ხელი მოქალაქეთა ჩართულობას?

მოქალაქეთა ჩართულობა მხოლოდ ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდას კი არ უწყობს ხელს, არამედ საზოგადოებრივ პროცესებში ჩართული მოქალაქე თავად იღრმავებს ცოდნას, ივითარებს უნარებსა და ხდება პოზიტიური ცვლილებების განმახორციელებელი.

მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას მრავალი მიზანი აქვს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის ნდობის გაღრმავება, რაც აუმჯობესებს შეთანხმებულად მუშაობას და შედეგი მიიღწევა ნაკლებ დროში
- უკეთესი და კრეატიული იდეებისა და გადაწყვეტილებების შემუშავება
- იდეების, პროგრამებისა და პოლიტიკის განხორციელება უფრო სწრაფად და მარტივად
- სენსიტიურ საკითხებზე წარმატებული შედეგების მიღწევა, რაც ეხმარება ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიდან აიცილონ არჩევანი თანაბრად არამიმზიდველ გადაწყვეტილებებს შორის
- მოქალაქეთა მოლოდინების უკეთესად გაგება და მათი ასახვა პოლიტიკის დაგეგმვისას, რაც აუმჯობესებს ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობას
- „მომთხოვნი მოშხმარებლის" ნაცვლად ჩართული საზოგადოების ჩამოყალიბება
- ერთობლივი პროექტების განხორციელებით დამატებითი დახმარებისა და ინვესტიციების მოზიდვა

არსებული საკანონმდებლო რეალობა – მოქალაქეთა ჩართულობის ძირითადი და დამატებითი მექანიზმები

მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური სავარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (მუხლი 85) მოქალაქეს საზოგადოებრივი ჩართულობის სხვადასხვა ფორმას სთავაზობს. ესენია:

- დასახლების საერთო კრება;
- პეტიცია;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების გარდა არსებობს სხვა დამატებითი საშუალებები, რომლებსაც მუნიციპალიტეტის მერიები და საკრებულოები ხშირად იყენებენ საკუთარ პრაქტიკაში. ესენია:

აღნიშნული მექანიზმების დანიშნულებაა: მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდება განხორციელებული, მიმდინარე თუ დაგეგმილი პროექტების შესახებ, ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეს შორის პარტნიორობის ხელშეწყობა, მოქალაქეებისთვის აზრის გამოხატვის პლატფორმის შეთავაზება და ა.შ.

გადაწყვეტილების მიღების პროცესზე კიდევ ერთი, უკიდურესი, მაგრამ დემოკრატიული და კონსტიტუციით განსაზღვრული ფორმაა, შეკრება-მანიფესტაციების ორგანიზება და მასში მონაწილეობა.

საჯარო გამოსვლების გზით მოქალაქეებს შეუძლიათ, პროტესტი გამოთქვან უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მოითხოვონ მისი შეცვლა ან მიღებისას მათი აზრის გათვალისწინება.

აქტიურმა მოქალაქემ უნდა იცოდეს თუ როგორ მიიტანოს მის მიერ გამოვლენილი პრობლემა შესაბამის ორგანოებამდე. ამ კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ადვოკატირება.

ადვოკატირება, როგორც აქტიური მოქალაქის იარაღი

რა არის ადვოკატირება?!

პრობლემების წამოჭრის/შესაბამისი ორგანოს წინაშე დაყენების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ადვოკატირება. სწორად დაგეგმილი ადვოკატირების კამპანიის საშუალებით შესაძლებელია ბევრი სასიკეთო ცვლილების განხორციელება თემსა თუ ქალაქში.

ადვოკატირება ფართო ცნებაა და მისი რამდენიმე განმარტება არსებობს. რიტუ რ. შარმას* განმარტებით, ადვოკატირება „პრობლემის დღის წესრიგში დასმის, პრობლემის გადაჭრის უზრუნველყოფის და პრობლემაზე და მის გადაჭრაზე მოქმედების მხარდაჭერის“ ინსტრუმენტია. ეს გამიზნული პროცესია ისეთ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად, რომლებსაც შეუძლიათ ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა ერთი ან მრავალი ადამიანისთვის, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან კომუნიკაცია მისი შემადგენელი ნაწილია.

ბავშვთა გადარჩენის ფონდის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში კი ადვოკატირება განმარტებულია, როგორც „სოციალური ცვლილების პროცესი, რომელიც მოქმედებს მიდგომებზე, სოციალურ ურთიერთობებზე და სხვადასხვა ძალების ურთიერთობაზე, რაც აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას და ხსნის დემოკრატიულ სივრცეებს“.

არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი ადვოკატირება. პირდაპირია ადვოკატირება, როცა ფიზიკური პირების ან ორგანიზაციების მიზანია გადაწყვეტილების მიმღებებზე ზეგავლენის მოხდენა, ხოლო არაპირდაპირი ადვოკატირების დროს, ფიზიკური პირები ან ორგანიზაციები მიზნად ისახავენ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას, რამაც ერთი მხრივ, უნდა გააძლიეროს მათი პოზიცია და მეორე მხრივ, უბიძგოს გადაწყვეტილების მიმღებებს, რომ შეცვალონ არჩეული პოლიტიკა.

---

* რიტუ რ. შარმა (Ritu R. Sharma) არის გლობალური ადვოკატირების ორგანიზაციის Women Thrive Worldwide (WTW) -ის თანადამფუძნებელი და პრეზიდენტი. WTW ფემინისტური ადვოკატირების ქსელია, რომელიც შეიქმნა 1998 წელს და მხარს უჭერს გენდერულ თანასწორობას. მუშაობს 53 ქვეყნის მთავარ ორგანიზაციებთან.

რისთვის გვჭირდება ადვოკატირება

ადვოკატირების არსი ხშირად ბუნდოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკის პროცესში ცვლილებას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობა ითვალისწინებს. თუმცა, ადვოკატირება საჭიროა:

- რათა მივაღწიოთ მდგრად ცვლილებას
- უფრო ფართო გავლენის მოსახდენად, ვიდრე მხოლოდ თემზე მორგებული პროგრამებით არის გათვალისწინებული
- რათა პროგრამების გავლენა გახდეს უფრო მდგრადი
- გადაწყვეტილების მიმღებ მხარეებთან ურთიერთობის შედეგად, სამოქალაქო ჯგუფების ლეგიტიმურობისა და სანდოობის უზრუნველყოფით სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად
- არასამთავრობო სექტორსა და სხვა სამოქალაქო ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად ან გასაძლიერებლად

ადვოკატირების საბოლოო მიზანი შეგვიძლია ორ ნაწილად ჩამოვაყალიბოთ: პირველი – კონკრეტულ გამოწვევასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და, მეორე – შეთანხმება პრობლემის გადაჭრის გზებზე და თანამოაზრეთა შემოკრება ერთიანი ძალებით მუშაობისთვის.

ადვოკატირების მთავარი დადებითი ეფექტი ადგილობრივი მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდაა, ასევე, კარგი მექანიზმია პოლიტიკის შექმნისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს მიღმა დარჩენილი ჯგუფებისთვის, რომ ხმა მიაწვდინონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

როგორ დავგეგმოთ ადვოკატირების პროცესი

ადვოკატირების პროცესი რამდენიმე ძირითად ეტაპს მოიცავს. ესენია:

ნაბიჯი 1 – პრობლემის იდენტიფიცირება: ადვოკატირების პროცესის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი პრობლემის იდენტიფიცირებაა, რადგან არასწორად დასმულმა საკითხმა, შესაძლოა, მთელი პროცესის მარცხი გამოიწვიოს. თავიდანვე, მკაფიოდ უნდა განსაზღვროთ რა გსურთ – რა არის პრობლემა და რა არის მისი გამომწვევი მიზეზები. ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ მეთოდი „მაგრამ რატომ?" დასვათ კითხვები მანამ, სანამ პრობლემის საწყისს მიზეზს მიაგნებთ. ან გამოიყენეთ ე.წ. გონებრივი იერიშის მეთოდი – ჩამოწერეთ მიზეზები პრობლემის მარცხნივ, ხოლო შედეგები – პრობლემის მარჯვნივ. შეეცადეთ, პრობლემა იყოს კონკრეტული, რომელიც უკავშირდება ადამიანთა ჯგუფს, ადგილს და არა ზოგადი და მასშტაბური.

ნაბიჯი 2 – გადაწყვეტილების მიმღების იდენტიფიცირება უნდა განსაზღვროთ, ვინ არის პასუხისმგებელი ცვლილებების განხორციელებაზე, ვის უნდა მიმართოთ კონკრეტული იდეით, ერთი თუ რამდენიმე რგოლია ჩართული ამ პროცესში, ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება და ა.შ. თქვენი ადვოკატირების კამპანიის ძირითადი აუდიტორია უნდა იყოს ის ხალხი, ვისაც შეუძლია სასურველი ცვლილებების შეტანა – მაგალითად, მთავრობის წარმომადგენლები, რეგიონული საბჭოები ან ადგილობრივი ხელისუფლების მრჩეველები.

სამიზნე აუდიტორიას აგრეთვე შეიძლება წარმოადგენდნენ სხვა ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიმღებებზე, მაგალითად, როგორებიც არიან: რელიგიური თუ თემის ლიდერები, ოპოზიციური პარტიების წევრები **ან საკითხით დაინტერესებული სხვა პირები.**

შეეცადეთ შეხვდეთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ადვოკატირების კამპანიის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე. საკითხის მათი გადმოსახედიდან გაგება დაგეხმარებათ თქვენი მიზნების დახვეწაში. გახსოვდეთ, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები, რომლებზეც გავლენის მოხდენას ცდილობთ, სულაც არ არიან თქვენი ოპონენტები. სიტუაციის გაუმჯობესება შესაძლოა, მათ ინტერესებშიც შედის.

ნაბიჯი 3 – იმ ჯგუფებისა და ინდივიდების იდენტიფიცირება, რომლებსაც შესაძლოა, ეს საკითხი ეხებოდეს – იფიქრეთ იმაზე, ვის მოუტანს სარგებელს თქვენს მიერ შეთავაზებული ცვლილება და ვინ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს თქვენს იდეას. ეს დაგეხმარებათ გადაწყვიტოთ რომელი ჯგუფები ჩართოთ თქვენს კამპანიაში.

დაუკავშირდით სხვა ადამიანებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მსგავსი საკითხებით. ეს კავშირი შეიძლება იყოს დროებითი, არაფორმალური ჯგუფი, რომელიც ერთად მუშაობს ადვოკატირების მხოლოდ ერთ კამპანიაში, ან შეიძლება გადაიზარდოს უფრო მუდმივ ჯგუფად, რომელიც განაგრძობს მუშაობას შესაბამის საკითხებზე.

ნაბიჯი 4 – მიზნის იდენტიფიცირება: განსაზღვრეთ მიზანი. თქვენი მიზანი არის ის, რისი შეცვლაც გსურთ. თქვენი მიზანი უნდა იყოს იმ პრობლემის საპირისპირო მდგომარეობა, რის გამოც წამოიწყეთ ადვოკატირების პროცესი. მიზანი უნდა იყოს მაქსიმალურად კონკრეტული და ნათელი. დარწმუნდით, რომ გაქვთ „მესიჯი", რომელიც არის მოკლე და მკაფიო განცხადება თქვენი მიზნის შესახებ. შეეცადეთ წამოაყენოთ მოთხოვნა, რომელიც რეალისტურია. რეკომენდირებულია, რომ მიზანი SMART კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს.

ანუ უნდა იყოს:

S (Specific) - სპეციფიკური (კონკრეტული, დეტალური, კარგად განსაზღვრული)

M (Measurable) - გაზომვადი (ციფრები, რაოდენობა)

A (Achievable) - მიღწევადი (შეძლებადი)

R (Realistic) - რეალისტური (რესურსების გათვალისწინებით)

T (Time-bound) - დროში გაწერილი (გააჩნია ე.წ. დედლაინი)*

ნაბიჯი 5 - ამოცანების იდენტიფიცირება: მას შემდეგ, რაც მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი გექნებათ, უნდა შეიმუშაოთ ის ნაბიჯები, რომლებსაც ამ მიზნის მისაღწევად გადადგამთ. ამ ნაბიჯებს ამოცანები ეწოდება. თუ ამოცანები სწორად იქნება შერჩეული, ადვოკატირების კამპანიის სტრატეგია ეფექტიანად წარიმართება და მიზანიც მიიღწევა.

ნაბიჯი 6 - გზავნილის ჩამოყალიბება: მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ თქვენს SMART მიზანსა და ამოცანებს, მოემზადეთ გზავნილის შესამუშავებლად. თქვენი გზავნილი არის ის, რის ირგვლივაც იქნებით გაერთიანებულები და რაც მოიზიდავს ხალხს.

ნაბიჯი 7 - გადაჭრის გზების შემუშავება: უმჯობესია, ადვოკატირების კამპანიის სამიზნე რგოლს/ინდივიდს შესთავაზოთ კონკრეტული გადაწყვეტილებები, ვიდრე უბრალოდ წაუყენოთ პრეტენზია. თქვენ შეგიძლიათ მოაგროვოთ ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ფაქტებსა და ციფრებს თქვენი არგუმენტის გასამყარებლად. ამ პროცესში მნიშვნელოვანია იმ ჯგუფებთან კომუნიკაცია, ვისაც ეს საკითხი უშუალოდ ეხება, რადგან შესაძლოა, პრობლემის გადაჭრის უკეთესი იდეა სწორედ მათ ჰქონდეთ. ნუ იფიქრებთ, რომ ამისთვის განსაკუთრებული ცოდნაა საჭირო. თქვენი და საკითხის გარშემო გაერთიანებული ადამიანების ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოძიებული ინფორმაცია დაგეხმარებათ გადაჭრის საუკეთესო გზების პოვნაში.

---

* SMART მიზნები შეიმუშავეს ჯორჯ დორანმა, არტურ მილერმა და ჯეიმს კანინგემმა 1981 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „არსებობს S.M.A.R.T. გზა მართვის მიზნების და ამოცანების შესადგენად", https://cce.bard.edu/files/Setting-Goals.pdf

ნაბიჯი 8 – სტრატეგიის შემუშავება: ადვოკატირების პროცესისთვის ისეთი კამპანიის სტრატეგია უნდა შეარჩიოთ, რომელიც თქვენს საკითხსა და რესურსებს უკეთ ესადაგება. ადვოკატირების საკმაოდ მრავალფეროვანი მექანიზმები არსებობს, ეს შეიძლება იყოს: საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები, მედია კამპანიები, პეტიციები, შეხვედრები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, ფლეშმობი ან საზოგადოებრივ დემონსტრაციებიც კი. როდესაც განიხილავთ თქვენს სტრატეგიას, დაფიქრდით დროის მონაკვეთზე და იმ პროცესებზე, რომლებიც უკვე მიმდინარეობს.

ნაბიჯი 9 – ჩართეთ მედია: მედიის ჩართვა შესანიშნავი გზაა თქვენი მიზნისთვის საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად. გაზეთების, რადიოს, ტელევიზიისა და სოციალური მედიის საშუალებით (მაგ. Twitter და Facebook) შეგიძლიათ იმაზე მეტი თანამოაზრე იპოვოთ, ვიდრე გეგმავთ.

ნაბიჯი 10 – შეფასება, მონიტორინგი და მომდევნო ქმედების დაგეგმვა: მნიშვნელოვანია შეაფასოთ მიაღწიეთ თუ არა იმ შედეგებს, რაც გქონდათ დაგეგმილი, რა დაგეხმარათ ამაში. თუ შედეგი არ იქნა მიღწეული, განსაზღვრეთ, რა უნდა შეცვალოთ სტრატეგიაში, რა გაკეთდა არასწორად. გადახედეთ ნებისმიერ პრობლემას, გამოწვევას და გაითვალისწინეთ დაშვებული შეცდომები. ეს დაგეხმარებათ მომავალში უფრო წარმატებული იყოთ. თუ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები გპირდებიან, რომ მიიღებენ ზომებს თქვენი მიზნის მისაღწევად, თქვენ უნდა გააკონტროლოთ სიტუაცია, რომ დარწმუნდეთ, რომ ქმედება ეფექტურია. ნებისმიერი ადვოკატირების პროცესის მონიტორინგის და შეფასების გეგმას თან უნდა ახლდეს ინდიკატორები, რომლებიც როგორც ამოცანები, SMART პრინციპით უნდა იყოს შერჩეული, ანუ, უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი.

დასკვნა

დემოკრატიზაციის პროცესში მოქალაქეთა მთავარი როლი და მექანიზმი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაა.

მოქალაქის პასუხისმგებლობაა გაეცნოს საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებს, ყურადღებით დააკვირდეს თუ როგორ იყენებენ პოლიტიკური ლიდერები და არჩეული წარმომადგენლები თავიანთ ძალაუფლებას და გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და ინტერესები. დემოკრატიის პირობებში სამოქალაქო ჩართულობა ნებაყოფლობითია და აუცილებლად მშვიდობიანი, კანონის ფარგლებში გამოხატული და ტოლერანტულია სხვა ჯგუფებისა და პირების განსხვავებული შეხედულებების მიმართ.

დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოქალაქეს მრავალფეროვანი არჩევანი აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოსახდენად. ერთ-ერთია ადვოკატირება. ადვოკატირების კამპანიის წარმატება დამოკიდებულია, როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ურთიერთობის ეფექტურ და სწორ სტრატეგიაზე, ასევე ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე, რაც საგრძნობლად ზრდის ადვოკატირების კამპანიის წარმატების შანსებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Active Citizenship For a better European Society, https://www.eesc.europa.eu/resources/docs/eesc-2011-35-en.pdf

2. What is Civil Society , civilsoc.org

3. The Role of Civil Society in Developing and Consolidating, https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/0e1e266f-5bdd-409b-bd70-09bcfe176f57.pdf

4. Checkoway, B., & Aldana, A. (2013). Four forms of youth civic engagement for diverse democracy. Children and Youth Services ,1894–1899, doi:10.1016/j.childyouth.2013.09.005

5. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=54

6. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის სახელმძღვანელო, http://resources.ctf.org.ge/mokalaketa_monawileoba.pdf

7. საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=16

8. ადვოკატირება სოფლის მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისათვის სახელმძღვანელო, http://enpard.ge/en/wp-content/uploads/2020/06/Advocacy-Manual-CiDA.pdf

9. რა არის ადვოკატირება და რა დახმარების გაწევა შეუძლია მას? ბმული: https://www.culturepartnership.eu/en/publishing/advocacy-course/what-is-advocacy

10. დემოკრატიული ცვლილებების საერთაშორისო ცენტრის მიერ, „მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების კამპანია" აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებში, http://v4.prwb.am/wp-content/uploads/2016/03/CREATING-AN-EVIDENCE-BASED-ADVOCACY-CAMPAIGN-geo.pdf